უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 27

2019 წ. „26“ 07

ქ. თბილისი

შპს ევროპის უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის მოხსნის შესახებ

დაწესებულების მიერ სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვის მოხსნის განაცხადში ასახული ინფორმაციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 25 [1] მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს ევროპის უნივერსიტეტისთვის (ს/კ 201954956) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.
2. შპს ევროპის უნივერსიტეტს მოეხსნას სტუდენტთა მიღების უფლების შეზღუდვა.
3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 26 ივლისის №11 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი და მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ევროპის უნივერსიტეტის შესახებ ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით, შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის #1 ან ქ. თბილისის სამოქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, #6.

თავმჯდომარე
მარიამ დარბაიძე

მდივანი
ნინო ხოლუაშვილი